უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 7

2015 წ. "08" 05

ქ.თბილისი

შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ

საბჭო მიუთითებს გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძვლებზე და აღნიშნავს შემდეგს:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ[1]" პუნქტის, 56[1] პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სტანდარტი არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად.

3. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის სტანდარტებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ) მატერიალური რესურსი;

გ) ადამიანური რესურსი.

4. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭო საავტორიზაციო დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზაციის შესახებ;

ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას საბჭო მხედველობაში არ იღებს ავტორიზაციის მაძიებლის იმ დოკუმენტს, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ.

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26-ე მუხლის შესაბამისად, ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს.

საბჭოს მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი და გამოკვლეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი) დასკვნა. საბჭომ მოისმინა, როგორც ავტორიზაციის ექსპერტების შეფასებები, აგრეთვე - ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლების ზეპირი ახსნა-განმარტებები დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით.

საავტორიზაციო დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების, აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ გამოარკვია, რომ შპს უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირი ვერ აკმაყოფილებდა საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალური რესურსების სტანდარტებს.

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406104727) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 8 მაისის №4 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე